

მარცვლეული
კულტურების წარმოების
ინდუსტრიის კვლევა

მომზადებულია 2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით

2024 წელი



შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია



გვერდი 4 - კვლევის შედეგები



გვერდი 6 - მარცვლეულის ბაზრის
ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები



გვერდი 12 - ფინანსური
კოეფიციენტები

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება მარცვლეულის წარმოების ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების გამოვლენას, მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კომპანიები ეკუთვნის მესამე ზომით კატეგორიას, აქედან არცერთი კომპანია არაა აუდირებული.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2022 წლის მონაცემებს, ყურადღება გამახვილებულია ბაზრის ლიდერ კომპანიებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენს 5-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია მარცვლოვანი პროდუქციის ბაზრის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მის წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე, მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ვებგვერდიდან.






კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს მარცვლეული კულტურების მწარმოებელ კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 18 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 48 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს მარცვლეულის წარმოების ინდუსტრიაში გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) -1%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 19%.



გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.





კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2022 წლის კომპანიების საშუალო მონაცემები. მოცემული 5 კომპანიიდან, ყველა ეკუთვნის მესამე ზომით კატეგორიას.




მარცვლელი კულტურების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა




საქართველოში მარცვლელი კულტურების წარმოების სტატისტიკა არასტაბილურობით ხასიათდება. სხვადასხვა სახეობის მიხედვით, შეინიშნება, როგორც ზრდის, ასევე კლების ტენდენცია. თუმცა, ქვეყანას აქვს პოტენციური ანარმოს გაცილებით მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომელიც შეესაბამება ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე კიდევ უფრო,

გაიზრდება მარცვლელი კულტურების მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა და შესაბამისად წარმოების მოცულობაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, მარცვლელი კულტურების წარმოების რაოდენობამ 2022 წელს 370 ათას ტონას გადააჭარბა. დეტალური მონაცემები სახეობების მიხედვით ასეთია:



ასევე საინტერესოა მარცვლელი კულტურების საშუალო მოსავლიანობა, წლების მიხედვით. ბოლო ოთხი წლის დეტალური მონაცემები ასეთია:






მარცვლეული კულტურების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2022 წელს დაფიქსირდა, მარცვლეული კულტურების მაქსიმალური ღირებულება, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და 1 კგ პროდუქტის ღირებულებამ სიმინდის შემთხვევაში შეადგინა 0.99ლარი, ხორბალი-0.93 ლარი, ხოლო ქერი 0.92 ლარი. დეტალური მონაცემები წლების მიხედვით ასეთია:

1 კგ-ის ფასი (ლარი)

მარცვლეული კულტურების ფასი საქართველოში




წყარო: Geostat.ge

● ხორბალი ● ქერი ● სიმინდი

რაც შეეხება, მარცვლეული კულტურების ნათეს ფართობებს, შემდეგი მონაცემებია:

ათასი ჰექტარი

მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები



წყარო: Geostat.ge



მარცვლელი კულტურების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2022 წელს იმპორტირებული მარცვლელი კულტურების ღირებულება შემცირდა წინა წლის მონაცემებთან შედარებით და შეადგინა 89,995 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2021 წელს 122,593 ათასი აშშ დოლარი იყო.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი მარცვლელის იმპორტი, 2022 წლის მონაცემებით შემდეგია: რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, პაკისტანი, თურქეთი და ყაზახეთი.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა

ათასი, აშშ დოლარი



წყარო: International Trade Center

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის მონაცემებით ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა რუსეთის ფედერაცია, საიდანაც შემოვიდა მარცვლელის ძირითადი ნაწილი. მაქსიმალური ღირებულება დაფიქსირდა 2020 წელს.

მარცვლელი კულტურების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა




რაც შეეხება ექსპორტს, საკმაოდ მცირე რაოდენობით ხორციელდება მარცვლელის ქვეყნიდან გატანა, იმპორტთან შედარებით, თუმცა საინტერესოა სად გადის და რამდენი. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2018 წელს დაფიქსირდა მარცვლელის ექსპორტის საერთო ღირებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და შეადგინა 4,133 ათასი აშშ დოლარი.

ტოპ ქვეყნები, სადაც ხორციელდება მარცვლელის ექსპორტი ღირებულების მიხედვით, შემდეგია: ერაყი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია და ირანი, ისლამური რესპუბლიკა.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ექსპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:

ათასი, აშშ დოლარი



წყარო: International Trade Center

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 2020 წელს დაფიქსირდა ყველაზე მცირე ღირებულების ექსპორტი.




მარცვლელი კულტურების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ იმპორტიორ ქვეყნებში ბოლო წელს ერაყი ლიდერობს, საინტერესოა როგორ იცვლებოდა ტოპ ქვეყნები ბოლო სამი წლის განმავლობაში. ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ტოპ ხუთი იმპორტიორი ქვეყნები წლების მიხედვით:

ათასი, დოლარი


იმპორტიორი ქვეყნები 2020 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი


იმპორტიორი ქვეყნები 2021 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი

იმპორტიორი ქვეყნები 2022 წელს



წყარო: International Trade Center


როგორც დიაგრამიდან ჩანს, თურქეთი მხოლოდ 2021 წელს მოხვდა ტოპ ხუთ ქვეყანაში ბოლო სამი წლის მონაცემების მიხედვით.



ტოპ 3 მარცვლელი კულტურების მწარმოებელი კომპანია შემოსავლების მიხედვით (2022წ)


აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს მარცვლელი კულტურების მწარმოებელი კომპანიების ჯამური შემოსავლის 89 %-ს.

ათასი, ლარი




მთლიანი აქტივების მიხედვით, ტოპ 3 კომპანია მარცვლელი კულტურების წარმოების ინდუსტრიაში (2022წ)

ათასი, ლარი



მთლიანი კაპიტალი, ტოპ 3 კომპანია მარცვლელი კულტურების წარმოების ინდუსტრიაში (2022წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2022 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად დადგინდა მარცვლელის მწარმოებელი კომპანიების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 3.81 და 0.47, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.




მომგებიანობის კოეფიციენტები

მარცვლელის მწარმოებელი კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 32%, წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) -1%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 19%-ს.

უნდა აღინიშნოს მოგების მარჟის კოეფიციენტები, რაც საკმაოდ მაღალია ეს ინდიკატორი წარმოადგენს მაჩვენებელს თუ თვითღირებულებასთან შედარებით, რამდენ პროცენტზე მეტად ყიდის კომპანია თავის პროდუქტს. დიდწილად სწორედ ეს მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიის მომგებიანობის განსაზღვრას.

მარცვლელის მწარმოებელი კომპანიები






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2022წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. მარცვლელის მწარმოებელთათვის მაჩვენებელი უტოლდება 1,07-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 2.04-ს, ეს მაჩვენებელი მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები მარცვლელის მწარმომეხი კომპანიებისთვის




ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 0.88-ს, მარცვლელის მწარმოებელი კომპანიებისთვის, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, შესაბამისად მეტია გაყიდვების რაოდენობა და ნაკლებ დროს ატარებს წარმოებული პროდუქტი სანყობში.

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი მარცვლელის მწარმოებელთა ინდუსტრიაში უტოლდება 0.46-ს მწარმოებელთათვის, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.

მწარმოებლები





რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC(ეი ჯი აი სი)-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 60-მდე მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge